სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ვახტანგ ჭანია[1]
სსუ სამშვიდობო განათლების ცენტრი
https://doi.org/10.52340/sou.2022.20.15

აფხაზეთის „საკითხი“ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) 1918-1920 წლებში

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია აფხაზეთის საკითხი დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო პოლიტიკაში, 1918-1920 წლებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921 წწ.) აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ცდილობდა, რეგიონში არსებული სეპარატისტული განწყობების დაძლევას. ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ, სამხრეთ კავკასიის მიმართ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გაძლიერებული ინტერესების ფონზე, როგორი იყო მათი დამოკიდებულება აფხაზეთის საკითხისადმი.

ნაშრომში საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით გაანალიზების საფუძველზე აღდგენილია 1918-1929 წლების ისტორიული სურათი და გამოტანილია დასკვნები: ევროპის წამყვანი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) საერთაშორისო პოლიტიკაში აფხაზეთის „საკითხი“, როგორც ცალკე მდგარი საკითხი, არ გამხდარა არანაირი მსჯელობის საგანი. მოკავშირე ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) და აშშ-ც უპირობოდ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება გერმანიას, მისი ხელისუფლება აფხაზეთს (სოხუმის ოკრუგს) ყველა ოფიციალურ შეხვედრებზე თუ დოკუმენტებში განიხილავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანულ ნაწილად და სამხე-

[1] **ვახტანგ ჭანია,** ისტორიის დოქტორი, სსუ „სამშვიდობო განათლების ცენტრის“ მკვლევარი.

დრო ძალასაც არ იშურებდა თუ საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნებოდა.

საკვანძო სიტყვები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აფხაზეთის საკითხი.

Vakhtang Chania

Abkhazia "issue" and Western European states (England, France, Germany) in 1918-1920

Abstract. The paper discusses the issue of Abkhazia in the foreign policy of the leading states of Western Europe, England, France and Germany, in 1918-1920. During the years of the existence of the Democratic Republic of Georgia (1918-1921), Abkhazia was a constituent part of the state of Georgia, and the then government of Georgia tried to overcome the separatist sentiments in the region. Our goal is to observe, against the background of the strengthened interests of the leading European states towards the South Caucasus, what was their attitude towards the Abkhazia problem.

In the work, based on the historical-comparative method of analyzing the historical sources and scientific literature surrounding the issue, the historical picture of 1918-1929 is restored and the conclusions are drawn: in the international politics of the leading European countries (England, France, Italy), the "issue" of Abkhazia did not become a separate issue. No point of discussion. The neighboring countries (England, France, Italy) and the USA unconditionally recognized the territorial integrity of the Democratic Republic of Georgia. As for Germany, its government considered Abkhazia (Sukhumi district) in all official meetings and documents as an organic part of the Democratic Republic of Georgia, and would not spare military force if Georgia's independence and territorial integrity were threatened.

Key words: England, France, Germany, Democratic Republic of Georgia, Abkhazia issue.

ძირითადი კვლევა. აფხაზეთის „საკითხი“ დიდი ბრიტანეთის მისიის წარმომადგენლობას კავკასიაში, განხილვის ღირსადაც კი არ მიაჩნდა. უფრო მეტი: აფხაზეთის „საკითხი“, ბრიტანეთის მისიისათვის კავკასიაში, არც მთიელთა რესპუბლიკის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ჭრილში გამხდარა ინტერესის საგანი. აფხაზეთის „საკითხი მხოლოდ ბრიტანეთ-„მოხალისეთა“ პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობის ჭრილში თუ იჩენდა თავს პერმანენტულად და ისიც მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და „მოხალისეთა“ სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე (საუბარია სოჭის ფრონტის მიმართულებაზე).

აფსუა-აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ აფხაზეთი მოეწყვიტათ საქართველოსგან, არც რუს ბოლშევიკებთან თაკილობდნენ ურთიერთობას და არც „მოხალისეებთან“. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა დამყარდა მათ შორის, როდესაც გამწვავდა ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და „მოხალისეებს“ შორის სოჭის ფრონტის მიმართულებით. ა. დენიკინის შტაბში მუდმივად იმყოფებოდნენ სხვადასხვა ჯურის აფსუა-აფხაზი ავანტიურისტები და „მოხალისეთა“ შუამავლობით ცდილობდნენ საერთაშორისო არენაზე გაეტანათ ქართველებისაგან „მრავალტანჯული“ *აფხაზი ერის გოდება“.* ასე მაგალითად, ა. დენიკინის უშუალო მითითებით, „მოხალისეებთან“ თავშეფარებულ ალ. შარვაშიძეს დააწერინეს „თხოვნა“ „აფხაზეთის ოლქიდან“ ქართველთა განდევნისა და რუსეთთან მისი მიერთების შესახებ (გამახარია და სხვები, 2007: 300). 1919 წლის 1 თებერვალს ა. დენიკინმა გაუგზავნა ტელეგრამა ახლო აღმოსავლეთში ინგლისელების ჯარების მთავარსარდალს გენერალ მილნს და 27-ე დივიზიის მეთაურს ფორესტიე უოკერს (მას უშუალოდ ემორჩილებოდა ინგლისელთა ჯარები ამიერკავკასიაში):„...указывая необходимые и неотложные меры для умиротворения Абхазии и устранения поводов взаимных столкновений наших с Грузией:1.Объявить Сухумский округ нейтральным; 2. Немедленно вывести оттуда грузинские войска и администрацию;3.Возложить поддержание порядка на абхазские власти, свободно им самими выбранные, а на военные отряды, сформированные из абхазцев“ (Деникин, 2002: 284).

ამ მემორანდუმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ჯარების გაყვანას ენგურის გაღმა, აფხაზეთის სახალხო საბჭოსთვის ცნობილი გახდა 1919 წლის 15 აპრილს. აფხაზეთის სახალხო საბჭომ მოისმინა რა ი. რამიშვილის მოხსენება, მიიღო შესაბამისი რეზოლუცია: „1) Единственным правомочным, полномочным и полноправным представителем Абхазии является Абхазский Народный Совет, избранный на самых демократических началах; 2) Что через этот Совет Абхазия заключила определенный и тесный союз с Демократической Республикой Грузия, вступив в нее как автономная часть и этим вполне определив общие с Грузией государственные границы; 3) Что всякие «официальные представители“ *(იგულისხმება ალ. შარვაშიძე,* ა. *ხასაია* - 3. ჭ.) абхазского народа, упоминаемые в меморандуме, являются ничем иным, как самозванцами, врагами демократии Абхазии и Грузии, заинтересованным в создании благоприятных условий для контрреволюции, реставрации старых порядков и уничтожения демократического строя; 4) что

абхазская демократия, в союзе с демократией Грузии сумеет обуздать непрошенных „представителей“ абхазского народа, победить контрреволюцию и ее агентов и дать торжеству великим лозунгам революции; 5) что Абхазский Народный Совет желает знать, кто те „официальные“ представители, которые от имени народов Абхазии обращаются к Добровольческой армии. Народный Совет Абхазии клеймит этим самозваных представителей именем предателей народа и утверждение меморандума считает несоответствующим действительности; 6) Резолюцию эту довести через Правительство Демократической Республики Грузии до сведения союзных держав“ (Гамахария, 1997: 436-437).

„მოხალისეებთან“ შეფარებული აფხაზი ავანტიურისტების საქციელი დაგმო აფხაზური მწერლობის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ თავის წერილში „აფხაზეთის იუდა“, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „ნაშე სლოვო“-ში. გაზეთში აღნიშნულია: „აფხაზეთის წარმომადგენელი, რომელიც ა. დენიკინთან გამოცხადდა დაჟინებული თხოვნით დენიკინის ჯარების მიერ აფხაზეთის დაკავების თაობაზე, აფხაზეთის მოღალატე, გამოვლენილია. ეს არის ალექსანდრე შარვაშიძე, ვინც თავის დროზე აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმას ცდილობდა, ის რუსი „პატრიოტი“, რომელსაც სურდა თურქებისათვის რუსეთის ყოფილი ნაწილის გადაცემა“ (გამახარია..., 2007: 300).

აფსუა-აფხაზი სეპარატისტების არაერთი თხოვნის მიუხედავად ინგლისელებმა ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალეს მათი მემორანდუმი, რომელიც „მოხალისეთა“ პირით გაცხადდა. პირიქით, ინგლისის მისიის წარმომადგენლობა კავკასიაში კატეგორიულად მოითხოვდა „მოხალისეებისაგან“ ჯარების გაყვანას სოჭის ოლქიდან და აგრეთვე სოჭის ოლქის და გაგრის ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას. აფხაზეთის „საკითხი“ (სოჭის ოლქთან ერთად) ძირითადად პოლიტიკური დაპირისპირების და ვაჭრობის საგანი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობაში. და ეს აშკარა დაპირისპირება უშუალოდ სამხედრო ბატალიებთან ერთად დიპლომატიურ არენაზეც მიმდინარეობდა.

აფხაზეთის „საკითხი“, დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ წრეებში, მხოლოდ „მოხალისეთა“ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილში განიხილებოდა. უფრო მეტიც: აფხაზეთის „საკითხი“ არც კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების კონტექსტშიც აინტერესებდა ვინმეს. საკუთრივ, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის აღიარებასთან დაკავშირებით ბრიტანელები ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას მიმართავდნენ. ერთის მხრივ, სიტყვიერად ჰპირდებოდნენ მთიელებს, რომ მათი დამოუკიდებლობის საკითხი სა-

ბოლოოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყდებოდა (Даудов, Месхидзе, 2009: 84), ხოლო მეორე მხრივ, „ჩრდილოეთ კავკასიის საკითხს“ მხოლოდ „რუსული საკითხის“ ფარგლებში განიხილავდნენ.

ამასთან ერთად დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლობა კავკასიაში პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებამდე მოითხოვდა მთიელებისგან დენიკინისადმი სრულ მხარდაჭერას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრიტანეთის სამხედრო ძალების წარმომადგენელმა ბაქოში ვ. ტომპსონმა 1918 წლის 27 ნოემბერს მთიელთა რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა ტელეგრამა, რომელშიც მოითხოვდა მთიელები გაერთიანებულიყვნენ თერგის კაზაკებთან კოალიციურ მთავრობაში, რათა მოეხდინათ ქმედითი დახმარება გენერალ ა. დენიკინისადმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ტომპსონის მიერ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ორი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: 1. „Удалить всех турок и устранить турецкую и германскую пропаганду – они пришли на Кавказ ради своей собственной, а не Вашей выгоды и Вам не принесли ничего кроме бедствий; 2. Помогли союзникам держать связь с армией Деникина…“ (Союз объединенных горцев... 2013:108).

1919 წლის 4 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კავკასიაში პოლკ. ჟორჟ როულნდსონმა მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით განაცხადა, რომ „в Дагестане право водворять порядок принадлежит генералу Деникину и население должно помогать Деникину в его борьбе с большевиками, иначе Англия будет смотреть на это как на акт недоброжелательства к союзникам“ (Союз объединенных горцев... 2013: 335).

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას ნაკლებად ადარდებდა კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრობლემა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ პოლკ. ჟორჟ როულანდსონმა 1919 წლის სექტემბერში მკაფიოდ მიანიშნა მთიელთა რესპუბლიკას, რომ „Правительство Англии поддерживает генерала Деникина и его цели Великой, Неделимой России и широкое самоуправление горских народов“ (Союз объединенных горцев... 2013: 334).

აფხაზეთის „საკითხი“ ბრიტანეთის დიპლომატიურ წრეებში მხოლოდ ერთხელ წამოტივდივდა და ისიც სდრ და „მოხალისეთა“ დაპირისპირების ფონზე. 1918 წლის 7 ნოემბერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კერძოდ, სერ ეირ ქროუმ მოამზადა 17 პუნქტიანი „მემორანდუმი შესაძლო ტერიტორიულ პოლიტიკაზე კავკასიაში“. ამ მემორანდუმში ქროუ მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების და დაღესტნის დამოუკიდე-

ბლობას. მაგრამ, მემორანდუმში დაღესტნის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ფონზე, აფხაზეთი ნახსენებიც არ არის (კობახიძე, 2017: 33).

ერთადერთი მიმართულება, სადაც ბრიტანელებმა საქართველოსათვს არახელსაყრელი პოზიცია დაიჭირეს „აფხაზეთი საკითხი“ იყო. „ეს ტერიტორია, - წერია მემორანდუმში, - დასახლებულია აფხაზებით, ადგილობრივი მუსულმანური ტომით, რომელთა ენა არ არის ქართული. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ქართველები მათი ტერიტორიის ანექსიას ცდილობდნენ და როგორც გადმოგვცემენ აფხაზები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ისინი (ე. ი. აფხაზები - ვ. ჭ.) არ უნდა ვაიძულოთ საქართველოსთან მათი ნების წინააღმდეგ გაერთიანდნენ. აფხაზები ან რუსეთის ნაწილად უნდა დარჩნენ, ან დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდნენ და მიეცეთ საგარეო დახმარება“ (კობახიძე, 2017: 34-35).

ბექა კობახიძის თვალსაზრისით, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ იდეის წამოწევა ბათუმში ბრიტანეთის კონსულ სტივენსის მემორანდუმს უნდა უკავშირდებოდეს (კობახიძე, 2017: 35). კიდევ ერთი: ა. დენიკინის შტაბში მუშაობდა ეროვნებით აფხაზი კაპიტანი ხასაია, რომელიც პარიზის საზავო კონფერენციას, იმავე სტივენსის შუამავლობით, „აფხაზი ხალხის სახელით“ წერდა მემორანდუმებს და ამ ტერიტორიის ქართველთაგან განთავისუფლებას ითხოვდა. თავად სტივენსი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უჭერდა მხარს. კერზონისთვის გაგზავნილ ტელეგრამაში, სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი - ოლივერ უორდროპი აღნიშნავდა, რომ ხასაიას არანაირი უფლება არ ჰქონდა აფხაზი ხალხის სახელით ელაპარაკა, რადგანაც ის ა. დენიკინის თამაშს თამაშობდა, ხოლო უფრო ადრე თურქების. ბრიტანელი კომისარი დასძენდა, რომ აფხაზებს კულტურა ქართველებისაგან ჰქონდათ აღებული და არა რუსებისაგან. ის დარწმუნებული იყო, რომ რეგიონში მშვიდობის საფრთხე არ შეიქმნებოდა თუ დენიკინი გარედან არ მოაწყობდა საფრთხეს (კობახიძე, 2017: 35).

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბრიტანეთის წარმომადგენლობა დაინტერესდა აფხაზეთის „საკითხით“. და ისიც, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და „მოხალისეთა“ სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ჭრილში.

მთლიანობაში აფხაზეთის „საკითხი“, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის პრობლემა, ბრიტანეთის საგარეო და სამხედრო უწყების ინტერესებში არასოდეს შედიოდა. რაც შეეხება კავკასიის მთიელთა საკითხს (აფხაზეთის „საკითხი“ ამ კონტექსტში ერთხელაც არ მოიხსენება ბრიტანეთის საგარეო და სამხედრო უწყებების მემორანდუმში), აქ ბრიტანეთის ხელისუფლებას ორჭოფული პოზიცია ეჭირა: სიტყვით ის თანაუგრძნო-

ბდა კავკასიის მთიელთა „დამოუკიდებლობას“, მაგრამ მთიელთა რესპუბ-ლიკის მომავალს მხოლოდ რუსეთის საკითხის მოგვარების ფარგლებში ხედავდა.

რაც შეეხება საფრანგეთის ხელისუფლებას, მას არათუ აფხაზეთის „საკითხი“, არამედ საქართველოს საკითხიც ნაკლებად ადარდებდა და ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები.საფრანგეთი ცალსახად უჭერდა მხარს ერთიანი, განუყოფელი რუსეთის აღდგენას რამდენიმე მიზეზის გამო: *პირველი*: ბოლშევიკები უარს აცხადებდენ დაებრუნებინათ საფრანგეთისათვის მეფის რუსეთის ვალები; *მეორე*: ფრანგული კაპიტალი უმოწყალოდ იდევნებოდა რუსეთიდან; *მესამე:* დასუსტებული რუსეთი მომავალში დამარცხებული გერმანიის რევანშისტული გეგმების პოტენციურ მოკავშირედ მოიაზრებოდა; *მეოთხე:* მზარდი მუშათა მოძრაობის, გაფიცვების ფონზე არსებობდა რეალური საფრთხე მარქსიზმის გავრცელებისათვის საფრანგეთში; *მეხუთე:* ბრიტანეთის დამკვიდრება საქართველოში რეალურ საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთის ინტერესებს კავკასიაში, რომელსაც ბრიტანეთისგან განსხვავებით 3 კაციანი მისია ჰყავდა თბილისში პოლკ. შარდინის მეთაურობით.

1918 წლის 12 დეკემბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფან პიშონმა დაადასტურა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის დამოუკიდებლობის აღიარება არ შეესაბამისებოდა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს. უფრო მეტიც, საფრანგეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა დიდ ბრიტანეთს, რომ ამ უკანასკნელს არ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება პარიზის საერთაშორისო კონფერენციას, ის დაიწყო 1919 წლის 18 იანვარს და გაგრძელდა 1920 წლის 21 იანვრამდე. კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის დაშლის ფონზე მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის დამყარება. პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილ იქნა სდრ დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი (შეცვალა ირ. წერეთელმა), ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია.

კავკასიის მთიელთა რესპუბლიკამ პარიზში გასაგზავნად შეარჩია დელეგაცია: ა. ჩერმოევი, გ. იბრაგიმბეკოვი, ხ. ხაძარაგოვი, გ. ბამატი. საფრანგეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მთიელთა დელეგაციის ჩასვლას პარიზში. ისინი გარკვეული დროით ჩარჩნენ სტამბოლში. მთიელთა დელეგაციამ ჩააღწია პარიზში 1919 წლის მარტში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ტელეგრამაში იტყობინებოდა, რომ პარიზში ჩამოვიდა კავკასიის მთიელთა დელეგაცია (Вачагаев, 2018: 157).

საქართველოს საკითხი პარიზის კონფერენციაზე, როგორც ცალკე აღებული, ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი მსჯელობის საგანი. საქართველოს საკითხი მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე განიხილებოდა. პარიზის კონფერენციაზე შემუშავდა რეკომენდაცია, სადაც ცალკე პუნქტი ეთმობოდა საქართველოს და სამხრეთ კავკასიას. რეკომენდაციაში ჩრდ. კავკასიის თვითაღიარებული რესპუბლიკა არ იყო მოხენებული (შესაბამისად, აფხაზეთი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი ნახსენებიც კი არ იყო) (კობახიძე, 2017:15).

შემოთავაზებულ რეკომენდაციაში განმარტების სახით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ეწერა: „შემოთავაზებულ ქართულ სახელმწიფოს ზღვაზე ექნება ფართო გასასვლელი ბათუმიდან ჩრდილოეთის მიმართულებით (კობახიძე, 2017:15). მემორანდუმში ტერიტორიული ერთეული აფხაზეთი ნახსენებიც არ არის.

უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის კონფერენციაზე თავს არიდებდა კავკასიის მთიელთა რეპუბლიკის დელეგაციასთან ერთიანი პოლიტიკური პროგრამით გამოსვლას. კავკასიის მთის დელეგაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ამ საქციელს საერთოკავკასიური ინტერესების ღალატში უთვლიდა. კერძოდ, კავკასიის მთის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ხ. ხაძარაგოვი პ. კოცევისადმი მიწერილ წერილში წერდა: „К сожалению, на заседании выяснилось, что грузины окончательно уклоняются от всех совместных с нами действий“ (Вачагаев, 2018:156-157). უნდა ვივარაუდოთ, რომ დროებითი განხეთქილების მიზეზი აფხაზეთის „საკითხი“ უნდა ყოფილიყო, რომელსაც მთიელთა რესპუბლიკის ლიდერები ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად განიხილავდნენ. ამ ვარაუდს მხარს უბამს გ. ბამატის მიერ ჟენევაში ინგლისურ ენაზე გამოცემული მემორანდუმი, რომელიც განკუთვნილი იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი.მემორანდუმს თან ახლავს რუკა, სადაც აფხაზეთი შეყვანილია ჩრდ. კავკასიის მთიელთა და დაღესტნის რესპუბლიკის შემადგენლობაში (Вачагаев, 2018:156-157).

1919 წლის 19 იანვარს პარიზის კონფერენციაზე მყოფმა დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა მემორანდუმი. კერძოდ, რუსეთ-თურქეთის სავარაუდო ალიანსიდან გამომდინარე, მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხის თავიდან აცილების გეგმა-პროექტი:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება;

2. ა. დენიკინისთვის გასაგზავნი იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის საქართველოს და აზერბაიჯანის დემოკრატული რესპუბლიკებისთვის გადაცემა;
3. ფინანსური მხარდაჭერა;
4. ცოცხალი შეიარაღებული ძალების გადასროლა საქართველოში (ბათუმის და ფოთის პორტების დაცვის მიზნით);
5. ა. დენიკინის კუთვნილებაში არსებული ფლოტის ჩაძირვა, ან უკეთეს შემთხვევაში მისი საქართველოს და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკებისთვის გადაცემა (კობახიძე, 2017: 194).

ხსენებულ მემორანდუმში აფხაზეთი, როგორც „დამოუკიდებელი“ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ნახსენებიც კი არ იყო. უფრო მეტიც, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა დაღესტნის დამოუკიდებლობასაც დაუჭირა მხარი. თუმცა, აფხაზეთი, როგორც ჩრდ. კავკასიის მთიელთა კავშირის და დაღესტნის შემადგენელი ნაწილი, ლოიდ ჯორჯის მიერ გამოცემულ მემორანდუმში ნახსენებიც არ იყო (კობახიძე, 2017: 203).

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დასრულებამდე ორი დღით ადრე სამხრეთ კავკასიის საკითხი მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურების საგანგებო და ფართომასშტაბიანი მსჯელობის საგანი გახდა. სხდომას ესწრებოდნენ ბრიტანეთიდან - ლოიდ ჯორჯი, კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, უილსონი, ბიტი; იტალიიდან - პრემიერ-მინისტრი ნიტი, მარკიზი დელა ტორეტო, გენერალი კავალიერო; საფრანგეთიდან - კლემანსო, მარშალი ფოში, ბერტელო, კამბონი; აშშ-ს და იაპონიის ელჩები (კობახიძე, 2017: 211-212).

1919 წ. 12 იანვარს ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ „საზიანო რომ არ იქნებოდა კავკასიური რესპუბლიკების აზერბაიჯანის, დაღესტანის და საქართველოს იარაღით და საბრძოლო მასალებით მომარაგება? და თუ ასეა, ეს დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს“? (კობახიძე, 2017: 212).

ჩერჩილმა, უილსონმა და კერზონმა ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფი პოზიცია დაიჭირეს. საბოლოო ჯამში პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ მთელი რიგი გადაწყვეტილებები მიიღო კავკასიის რესპუბლიკებთან დაკავშირებით:

1. რეგიონში მოკავშირეთა ძალები არ გაიგზავნებოდა;
2. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის გაგზავნა თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა (კობახიძე, 2017: 216).

ამრიგად, მოკავშირე ქვეყნების ორჭოფულმა, გაორებულმა პოლიტიკამ, კავკასიის რესპუბლიკების მიმართ, პარიზის სამშვიდობო კონფერენ-

ციაზეც იჩინა თავი. როგორც მოსალოდნელი იყო მოკავშირეები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, აშშ) ძირითადად სიტყვიერი დაპირებებით იფარგლებოდნენ. უფრო მეტიც, ისინი არც ბოლშევიკურ რუსეთთან თაკილობდნენ თანამშრომლობაზე უარს, თუ ეს უკანასკნელი მეფის რუსეთის ვალებს გადაიხდიდა...

და ბოლოს, რაც შეეხება აფხაზეთის „საკითხის“ აღიარებას საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე თუ დიპლომატიაში, რომლის ცრუ ტირაჟირებას ეწევიან აფსუა-აფხაზი ისტორიკოსები, ცალსახად უნდა ითქვას: ევროპის წამყვანი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) და აშშ პოლიტიკაში (საერთაშორისო არენაზე თუ საომარი მოქმედებების ზონაში) აფხაზეთის „საკითხი“, როგორც ცალკე მდგარი საკითხი, არ გამხდარა არანაირი მსჯელობის საგანი. მოკავშირე ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) და აშშ უპირობოდ ცნობდნენ საქართველროს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას. ხოლო თუ აფხაზეთის „საკითხმა“ ერთი-ორჯერ გაიჟღერა კავკასიაში დიდი ბრიტანეთის მისიის წარმომადგენლების ოფიციალურ მიმართვებში, ანდა ცალკეული, ზოგიერთი ინგლისელი პოლიტიკოსის მემორანდუმში, ეს ხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და „მოხალისეთა“ არმიის პოლიტიკურ-სამხედრო დაპირისპირების ჭრილში ხდებოდა. ესაა და ეს...

გერმანიის იმპერია და აფხაზეთის „საკითხი“ (1917-1918). აფხაზეთის „საკითხი“ გერმანიის იმპერიის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისგან განცალკევებით, დამოუკიდებლად არ იდგა. უფრო მეტიც, გერმანიის ხელისუფლება აფხაზეთს (სოხუმის ოკრუგს) ყველა ოფიციალურ შეხვედრებზე თუ დოკუმენტებში განიხილავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანულ ნაწილად და სამხედრო ძალასაც არ იშურებდა თუ საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნებოდა. თუ აფხაზეთის „საკითხი“ ასე თუ ისე წამოტივტივდა კავკასიაში გამწესებულ გერმანიის მისიის ოფიციალურ დოკუმენტებში ან მიმართვებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ გერმანია-ჩრდ. კავკასიის მთიელთა და დაღესტანის კავშირთან პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობის ჭრილში.

კაიზერული გერმანია პირველი დიდი ევროპული სახელმწიფო იყო, რომელმაც არა მარტო აქტიურად შეუწყო ხელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას 1918 წლის 26 მაისს, არამედ პირველმა ცნო იგი „დე-ფაქტო“ 28 მაისის ფოთის ხელშეკრულების საფუძველზე და ენერგიული ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა მისი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის.

გერმანიის მხრიდან კავკასიის პოლიტიკური ეპიცენტრად გადაქცევისთვის ნოყიერი ნიადაგი შეამზადა პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ).

1918 წლის 3 მარტის ბრესტის საზავო ხელშეკრულებამ მადა გაუხსნა თურქეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას კავკასიაში. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლო შეეჩერებინა თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა კავკასიაში გერმანია იყო. გადამწყვეტი როლი აქ შეასრულა გერმანიის სამხედრო რწმუნებულმა კონსტანტინოპოლში გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა. კაიზერული გერმანიის მისიის მიხედვით კავკასიაში მთავარი იყო საქართველოზე გერმანიის ბატონობის დამყარება, რადგანაც საქართველოში გერმანიის დროებით წარმომადგენლად გამწესებული გრაფ შულენბურის არ იყოს: „შევინარჩუნოთ, სულ მცირე, საქართველო მაინც და ადრე თუ გვიან მთელი კავკასია ჩვენს მხარეზე იქნება“ (კრეისენშტაინი, 2002: 21). მეორე მხრივ, ოტო ფონ ლოსოვს უნდა ეზრუნა „ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის ამიერკავკასიასთან შემოერთებისათვის“ (კრეისენშტაინი, 2002: 17).

საქართველოში გერმანიის კავკასიური პოლიტიკის მისიის ხელმძღვანელად, ლუდენდორფის წინადადებით და მხარდაჭერით, პოლკოვნიკი, ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი დაინიშნა. ბარონმა ფრიდრიხ ფონ კრესენშტაინმა თავისი ენერგიული, აქტიური მიმართულება ძირითადად, სამი მიმართულებით წარმართა: *პირველი,* საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა რუსული (თეთრგვარდიელები - ბოლშევიკები) და თურქული აგრესიისგან; *მეორე,* ჩრდ. კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც ბუფერის როლს ითამაშებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის; *მესამე,* ქართული პროფესული, რეგულარული ჯარის ჩამოყალბება.

გენერალ მაზნიაშვილის წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ (ბოლშევიკური ავანტიურის ჩახშობა აფხაზეთში ერთი მხრივ და „მოხალისეთა“ საჯარისო ნაწილების განდევნა სოჭი-ტუაფსეს მონაკვეთიდან მეორე მხრივ) გამოიწვია კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ლიდერთა ერთი ნაწილის აშკარა უკმაყოფილება და ღია პროტესტი. კერძოდ, მთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გაიდარ ბამატი გერმანიის ხელისუფლების დიპლომატიურ წარმომადგენელს კავკასიაში გრაფ შულენბურგს მიმართავდა: „Я имею честь просить Вас, господин министр, не отказывать уведомить Императорское Правительство в Берлине о точке зрения правительства Союза Горцев Кавказа на нахождении Грузинских банд и характер действий агентов правительства Грузии в этом округе.

Я нисколько не сомневаюсь, что незначительный десант немецких войск в Сухуми является исключительно результатом недоразумения, в ко-

торое, Ваше Превосходительство были введены Грузинским правительством“ (Гамахаря, Гогия,1997: 415).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და კერძოდ, გ. მაზნიაშვილის მიერ ბოლშევიკთა ამბოხის ჩახშობა აფხაზეთში და სოჭი-ტუაფსეს მონკვეთის დაჭერის ინიცატივა მოდიოდა არა საქართველოს მთავ-რობის მხრიდან, არამედ აფხაზეთის სახალხო საბჭოდან. „Абхазский Нацио-нальный Совет, обсудив политический момент и учитывая во-первых, то, что большевистская анархия, которая раздирает Абхазию уже в течение трех месяцев, питается главным образом Сочинским и Туапсинским округами и вовторых, учитывая, также то обстоятельство, что большевистское настрое-ние создалось и поддерживается на почве продовольственных затруднений, возникающих с момента занятия порта Туапсе большевиками, прекратившими с Северным Кавказом, и задерживающими продовольственные грузы, по-становил: *для водворения прочного порядка в Абхазии и разрешения продо-вольственного кризиса как в Абхазии, так и в Грузии признать необходимым занятие Сочинского и Туапсинского округов с портом Туапсе. О настоящем постановлении довести до сведения Правительства Грузинской Демократи-ческой Республики и командующего отряда генерал-майора Мазниева“* (Гамахария, Гогия, 1997: 415).

გ. მაზნიაშვილი იგონებდა: „ჩემთან მოვიდა დეპუტაცია სოხუმიდან... რომელმაც... მომართა თხოვნით გამეწმინდა ბოლშევიკებისგან როგორც სო-ხუმი, ისე მთელი აფხაზეთი (მაზნიაშვილი, 1990: 57). გენ. ა. დენიკინი თავის მემუარებში ადასტურებს გ. მაზნიაშვილის ინფორმაციას: „Абхазский нацио-нальный совет обратился за помощью к грузинам“ (Денкин, 2002: 80).

1918 წლის 17 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭოში ქართული ჯარე-ბისადმი დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა დაიწყო. დეპუტატებმა ვ. შარვაშიძემ, გულიამ, ს. ბასარიამ უარყვეს „კიარაზის“ მოთხოვნა აფხაზეთი-დან ქართული საჯარისო ფორმირებების გაყვანის შესახებ (გამახარია, 1990: 606). ამავე სხდომაზე საბჭომ კენჭი უყარა გ. მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდო-ბის საკითხს. თითქმის ერთხმად გადაწყდა (ორმა შეკავა თავი), „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწვეტილება და ითქვას საქართველოს ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“(გამახარია, 1991:60-61).

1918 წლის 18 ივლისს სახალხო საბჭოს სხდომაზე ი. რამიშვილმა გაა-კეთა მკვეთრი განცხადება: ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თავიდან აცილების მიზნით ქართული საჯარისო ფორმირებების აფხაზეთიდან გაყვა-ნის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ ი.რამიშვილი განცხადების პათოსი არ

გაიზიარა აფხაზეთის სახალხო საბჭოს არც ერთმა წევრმა. ხოლო სიტყვით გამოსულმა რ. კაკუბამ და დ. მარშანიამ ქართული ჯარის აფხაზეთიდან გაყვანა დაუშვებლად მიიჩნიეს. 19 ივლისს სახალხო საბჭოს სხდომაზე ასეთი განცხადება გააკეთა: „მოღალატური ნაბიჯები ჩვენი მხრიდან არ შეიძლება იყოს, ვინაიდან ქართული ნაწილები მოწვეულია ჩვენთვის მძიმე წუთებში დახმარების გასაწევად...“ (გამახარია, 1991: 62; Гамахаря, Гогия, 1997: 333).

აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოფიციალური განცხადებების ფონზე გაკვირვებას იწვევს კავკასიის მთიელთა ზოგიერთი ლიდერის განცხადება, მკაცრი პროტესტი, რომელიც მიმართული იყო საქართველოში გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლის ფონ-ლოსოვის მისამართით. კერძოდ, მთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ლიდერის გ. ბამატის ოფიციალური პროტესტი ფონ-ლოსოვის მისამართით ქართული ჯარის მიერ აფხაზეთის ე. წ. არაკანონიერი „ოკუპაციის“ შესახებ. მოგვყავს ამ წერილის ტექსტის ნაწილი რუსულ ენაზე: „В сентябре 1917 года Абхазский Национальный Совет, ввиду национального единства абхазского народа с народами Северного Кавказа, объединившимся с начала революции в Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана, в соответствии с историческими традициями абхазцев и ясно выраженной народной волей воссоединить свою историческую судьбу с родственными народами Северного Кавказа принял решение войти в состав вышеупомянутого Союза. Воссоединение Абхазии с Союзом объединенных горцев Кавказа было ратифицировано генеральным съездом абхазского народа, имевшим место в городе Сухуми.

Несмотря на столь ясно выраженную волю абхазского народа, пограничная Грузия, руководствуясь аннексионистскими побуждениями, не переставала вести пропаганду против Союза горцев Кавказа, пытаясь отторгнуть Абхазию от Союза и воссоединить ее с Грузией. Однако предпринятые грузинами все средства убеждения и подкупы не могли отклонить Абхазию от единения с горцами Кавказа. Тогда, пользуясь временными затруднениями, испытываемыми Союзом Горцев Кавказа в борьбе с северными ее врагами, вновь образовавшееся грузинское Правительство позволило себе ввести на абхазскую территорию свои войска, и, несмотря на своевременный протест моего правительства, адресованный министру председателю Грузии 1 июня с. г. (1918 г.) за №53, и на упорное сопротивление, оказываемое абхазским населением ведет в Абхазии политику насилия и притеснений. Как Ваше Правительство усмотрит из прилагаемых документов, наиболее священные права абхазского народа попираются Грузинским Правительством са-

мым жестоким образом. Абхазский Национальный Совет, протестовавший против бесчинств грузинских властей и эмиссаров, разогнан, несколько абхазских селений уничтожено и разграблено…

Мое правительство с чувством бесконечного сожаления констатирует, что в составе грузинских войск, оперирующих в Абхазии, имеются регулярные германские части. Объясняя участие немецких войск в операциях против Абхазии, только ошибкой местного немецкого командования, введенного в заблуждение Грузинским Правительством- я от имени моего Правительства самым категорическим образом протестую против образа действий Грузии в Абхазии, составной части Федеративной Республики Союза горцев Кавказа, и во избежание тяжелых осложнений, могущих проистечь от указанной политики Грузинского правительства, мое Правительство полагает необходимым немедленно вывести из Абхазии грузинские войска"(Союз объединенных горцев, 2013: 83-84).

გ. ბამატის განცხადებები, ოფიციალური პროტესტი, თუ სამთავრობო ნოტა მიმართული გენ.ფოლოსოვის მისამართით ხშირ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის სრული უცოდინარობიდან და გეოპოლიტიკური არაშორსმჭვრეტელობიდან მომდინარეობს:

პირველი, აფხაზი და ჩრდ.კავკასიის ხალხების სწრაფვა ერთიანობისკენ თურმე ისტორიული ტრადიციებით ყოფილა განპრობებული. ეს განცხადება ისტორიულ უმეცრობას ეყრდნობა. აფხაზეთი ათასწლეულების მანძილზე ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ნაწილი. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი პლიტიკური წარმონაქმნი არასოდეს არ იყო კავკასიის მთიელთა სახელმწიფო წარმონაქმნის ნაწილი; ისტორიულად არასოდეს არსებობდა კავკასიის მთიელთა სახელმწიფო წარმონაქმნი (თუ არ ჩავთვლით ხელოვნურ პოლიტიკურ წარმონაქმნს ჩრდ. კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა და დაღესტანის კავშირი, რომელმაც სულ ორი წელიწადი იარსება);

მეორე, გ. ბამატი არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ მთიელთა კავშირში გაერთიანება მოითხოვა აფხაზმა ხალხმა, რომელიც სოხუმის ოკრუგის 20 პროცენტს შეადგენდა და არა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ;

მესამე, გ. ბამატი საქართველოს უწოდებს აფხაზეთის „მოსაზღვრე" ქვეყანას, რომელსაც თურმე დაპყრობითი მიზნები ამოძრავებს აფხაზ ხალხთან მიმართებაში. გ. ბამატს ელემენტარული ცოდნა რომ ჰქონოდა საქართველოს ისტორიაში, ასეთ სისულელეს არ იტყოდა. სწორედ „აფხაზთა სა-

მეფო“ გამოდის საქართველოს გაერთიანების მთავარ მამოძრავებელ ძალად VIII-X სს.-ში, რაც საქართველოს გაერთიანებით დასრულდა.

მეოთხე, გ. ბამატი სდრ რეგულარული საჯარისო ფორმირებების შესვლას აფხაზეთში აღიქვამს არა როგორც ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არამედ როგორც სდრ მთავრობის მიერ ჩრდ. კავკასიის ხალხებისადმი მიმართულ მტრულ პოლიტიკურ აქციას, როგორც ჩანს გ.ბამატს ან მეხსიერება ღალატობს ან საერთოდ ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ კონიუქტურაში. სდრის მთავრობა კავკასიის მთის რესპუბლიკას ეხმარებოდა ფინანსურად, სამხედრო აღჭურვილობით, საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე დაუზოგავად იბრძოდა მთის რესპუბლიკის აღიარებისათვის და ბოლოს ასობით ქართველი ოფიცერი იბრძოდა კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის საჯარისო ფორმირებებში ბოლშევიკებ-„მოხალისეთა“ წინააღმდეგ;

მეხუთე, გ. ბამატი საქმის კურსშია, რომ გერმანიის ხელისუფლება კავკასიაში ცნობდა მხლოდ საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო მთიელთა რესპუბლიკა ჭირდებოდა როგორც „გასაცვლელი ვალუტა“ ბოლშევიკ-„მოხალისეებთან“ სავაჭროდ. „... большевики признали самостоятельность Грузии… В свою очередь Германия обязалась никаких самостоятельных государств больше в пределах бывшей России не создавать…“ (Союз объединенных горцев... 2013: 95).

გერმანიის ხელისუფლება ცნობდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ ტერიტორიულ მთლიანობასაც. ასე მაგალითად, ფონ ლოსოვის მიერ ა.ჩხენკელისათვის ფოთში 28 მაისს გადაცემული „სრულიად საიდუმლო“ წერილში საქართველოს საზღვრები ასეა აღწერილი: „პუნქტიდან, სადაც ქუთაისის გუბერნიის საზღვარი შავ ზღვაში ეშვება, საზღვარი გასდევს ზღვის სანაპიროს ქუთაისის გუბერნიის სამხრეთ საზღვრამდე, შემდეგ მიჰყვება ამ გუბერნიის საზღვარს მისი ბათუმის ოლქის აღმოსავლეთ საზღვართან გადაკვეთის პუნქტამდე, შემდეგ კი თბილისის გუბერნიის საზღვარს მისი ქუთაისის გუბერნიის ჩრდილოეთ საზღვართან შეერთებამდე და მიჰყვება ამ უკანასკნელს სოხუმის ოლქის აღმოსავლეთ საზღვართან გადაკვეთის პუნქტამდე“ (კრეისენშტაინი, 2002: 47-48). საქართველოს ნაწილად იყო აღიარებული სოხუმის ოკრუგის (გაგრის ჩათვლით), „ვიდრე საქართველო ცალკე სახელმწიფოა კავკასიაში“, ხოლო თუ შეიქმნებოდა კავკასიის ხალხების კონფერენცია საქართველოს მონაწილეობით, მაშინ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას „არჩევანის მიხედვით უნდა განესაზღვრა თავისი მდგომარეობა კავკასიის ქვეყნებს შორის“ (კრეისენშტაინი, 2002: 47-48).

გერმანის იმპერიის სრულფასოვანი წარმომადგენლები კავკასიაში ოტო ფონ ლოსოვი, გრაფ შულენბურგი, გენ. ფონ კრესენშტაინი მიჰყვებოდ-

ნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის და ტერიტორიალური მთლიანობის აღიარების პოლიტიკას. შესაბამისად, მათი მხრიდან საქართველოში ბოლშევიზ-„მოხალისეთა“ წინააღმდეგ ბრძოლა შედიოდა გერმანიის იმპერიის პოლიტიკის ინტერესებში. ასე მაგალითად, ფონ კრესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გენ.მაზნიაშვილისათვის გერმანიის საჯარისო ფორმირებები მიეშველიებინა. მით უმეტეს, რომ ტუაფსეში 5000 შეიარაღებული ბოლშევიკი იდგა, ბოლშევიკები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ფონ კრესმა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში არტილერია და ავიაციაც გამოიყენა“ (კრეისენშტაინი, 2002: 36; Германские оккупанты в Грузии... в 1918 году. Сборник документов, 1942: 26-27).

გერმანია შეიარაღებული ძალებით დაეხმარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თურქული დესანტის წინააღმდეგ, რომელიც გადმოსხდა აფხაზეთში 1918 წლის მაისში. ფონ კრუსი წერს: „ივნისის ბოლოს სოხუმიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ დაახლოებით 800 კაციანი თურქული რაზმი გადმოსხეს და იგი სოხუმის ჩრდილოეთით ბოლშევიკური ბანდების წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ ჯარს ზურგში მოექცა. მე ჟორდანიას სასაზღვრო თხოვნით და და იქაური მოსახლეობის დასამშვიდებლად მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი (ასეულის ნაწილი და მეტყვიამფრქვევთა ერთი ოცეული) გავგზავნე სოხუმისკენ“ (კრეისენშტაინი, 2002: 87).

თურქეთის კავკასიური პოლიტიკა მიუღებელი იყო გერმანიის იმპერიისათვის. „პანისლამიზმი“ და „პანთურქიზმი“ წინააღმდეგობაში მოდიოდა გერმანიის იმპერიულ ინტერესებთან აზიასა და ინდოეთის მიმართულებით. ამიტომაც შემთხვევითი როდი იყო ფონ ლოსოვის, ფონ კრესის აქტიური ანტითურქული პოლიტიკა კავკასიაში. ამ ფაქტს ადასტურებს ფონ კრესი, როდესაც ის გერმანიის საჯარისო ნაწილებს აგზავნის თურქული დესანტის წინააღმდეგ, რომელიც აფხაზეთში ჩამოსხეს 1918 წლის ივნისში: „ესად-ფაშამ სწორედ ეს მომენტი ჩათვალა ხელსაყრელად, რომ თურქულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 600-მდე ჯარისკაცი, რამდენიმე ტყვიამფრქვევით, საქართველოს სანაპიროზე, სოხუმის ახლოს გადმოესხა პატარა რაზმებად. საქართველოს მთავრობის თანხმობით მე იქ გავგზავნე მოერიშეთა ბატალიონის მეთაური რამდენიმე ასეულით და დავავალე, ხელთ ეგდო თურქი ჯარისკაცები, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, იარაღის გამოუყენებლად, განეიარაღებინათ და როგორც შეპყრობილი დეზერტირები, უკვე გაეგზავნათ ესადისათვის. ეს წმენდის აქცია სრაფად და ინცინდენტის გარეშე ჩატარდა“ (კრეისენშტაინი, 2002: 113).

ამრიგად, კავკასიაში გერმანიის იმპერიის სრულფასოვანი წარმომადგენლების: ოტო ფონ ლოსოვის, გრაფი შულენბურგის, ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრეისენშტაინის მთავარი და ძირითადი საზრუნავი იყო საქარ-თველო, რომელიც ჯერ ერთი, უნდა გამხდარიყო სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო და მეორე მხრივ, გერმანიის იმპერიის პლაცდარმი პანგერმანისტული იდეების გაბატონებისათვის ირანში, ინდოეთში, ინდოჩინეთში. რაც შეეხება ე.წ. აფხაზეთის „საკითხს“ ეს მათ ინტერესებში არ შედიოდა. და თუ ზოგჯერ აფხაზეთის „საკითხი“ წამოტივტივდებოდა მათ განცხადებებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ გერმანია - კავკასიის მთიელთა ურთიერთობის ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამახარია (1991). ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი;

გამახარია და სხვები, (2007). ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, მალხაზ ბარამიძე, თამაზ ბერაძე, ლია ბითაძე, ირაკლი გელენავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ბადრი გოგია, კობა ოკუჯავა, გურანდა ფხაკაძე, რეზო ხვისტანი, ბეჟან ხორავა, დაზმირ ჯოჯუა. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“;

გოგლიძე (2019). ჯონდო გოგლიძე. მეომრის უბის წიგნაკის ჩანაწერები – წიგნში: ჯონდო გოგლიძე. დაგვიანებული წერილი. თბილისი;

კობახიძე (2017). ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. თბილისი;

კრეისენშტაინი (2002). ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრეისენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში, ქუთაისი;

მაზნიაშვილი (1990). გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. თბილისი;

Вачагаев, М. (2018). М. Вачагаев. Союз горцев Северного Кавказа и Горская республика (1917-1920). Москва;

Гамахария, Гогия (1997). Абхазия историческая область Грузии. Тбилиси;

Деникин (2002). А. Деникин. Очерки русской смуты. октябрь 1918 - январь, 1919. Минск;

Даудов, Месхидзе (2009).А. Даудов, Д. Месхидзе. Национальная государственность горских народов Северного Кавказа (1917-1924). СПб;

Союз объединенных горцев... (2013). Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918) и Горская Республика (1918-1920гг.), Махачкала.